

ენა, როგორც ეკონომიკური ფაქტორი

თამთა გიორგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი უცხო ენები და
საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა ლუტიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა გიორგაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

შესავალი - ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ენის, როგორც ეკონომიკური ფაქტორის როლი ინდივიდისა და სახელმწიფოსთვის თანამედროვე ეკონომიკური და კულტურული გლობალიზაციის პროცესების კონტექსტში. ნაშრომი ანალიზებს - ინგლისურის, ფრანგულისა და ქართული ენების სიმბოლურ ძალაუფლებას და აგრეთვე, იმას თუ როგორ შეიძლება ეს ძალაუფლება ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარი იყოს. ინგლისურ და ფრანგულ ენას დღეს ყველაზე დიდი ძალაუფლება აქვს მსოფლიოში და ამ ფაქტს ეკონომიკური საფუძვლები აქვს; თუმცა ამ ორი ენის სტატუსი არ არის თანაბარი: დღეს ინგლისური ენის ბატონობა გლობალიზაციის თანმდევი პროცესია, ფრანგულისა კი - ისტორიულად განპირობებული. ჩვენ დავინტერესდით, ქართულის, პატარა, თანაც პოსტსაბჭოთა წარსულის ქვეყნის სახელმწიფო ენის როლით ქვეყნის ეკონომიკაში და ქართულის, როგორც მშობლიური ენის მქონე ინდივიდის ლინგვისტური კაპიტალის ღირებულებას ადგილობრივ და საერთაშორისო სამუშაო ბაზარზე. აქ განხილული თითოეული ენის სტატუსი გაანალიზებულია ეკონომიკური, კულტურული და საჭიროებისამებრ, პოლიტიკური გლობალიზაციის ჭრილში. შედარებითი ანალიზისას, ჩვენი ცვლადი ყოველთვის ინგლისური ენის დომინანტობაა და, გარკვეულწილად, ვიკვლევთ მის გავლენას კონკრეტულ ენასა თუ ენებზე (ფრანგული და ქართული). ქართული ენის, როგორც ეკონომიკური ფაქტორის როლს, გარდა შედარებითი ანალიზისა, ვიკვლევთ 20 ინდივიდის გამოკითხვით: რა როლი აქვს მათთვის მატერიალური კეთილდღეობის შექმნაში მშობლიურ ენას (ქართულს), ვაჯამებთ რესპოდენტების პასუხებს და გამოვკვეთთ ტენდენციებს.

მეთოდოლოგია - შედარებითი ანალიზისთვის შეირჩა სამი ენა - ინგლისური, ფრანგული და ქართული. აგრეთვე, შეირჩა კონტექსტი - გლობალიზაცია და შედარებითი ანალიზის ცვლადი - ინგლისური ენა. ნაშრომი სამი თავისგან შედგება. პირველი და მეორე თავი აღწერთი და თეორიული ხასიათისაა: მიმოვიხილავთ გლობალიზაციას, ინგლისურისა და ფრანგულის სტატუსს. დასკვნით თავში,

ქართული ენის, როგორც ეკონომიკური ფაქტორის როლს, გარდა შედარებითი ანალიზისა, ვიკვლევთ 20 ინდივიდის გამოკითხვით: რა როლი აქვს მათთვის მატერიალური კეთილდღეობის შექმნაში მშობლიურ ენას (ქართულს), ვაჯამებთ რესპოდენტების პასუხებს და გამოვკვეთთ ტენდენციებს.

დასკვნები - კვლევის ჰიპოთეზა: „ქართულ ენას ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე არ გააჩნია საბაზრო (შრომით ბაზარზე) ღირებულება ბილინგვიზმის -ამ შემთხვევაში ინგლისური ენის კომუნიკაციის პროცესში ჩართვის გარეშე“ მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს. ქართულ ენას გააჩნია საბაზრო ღირებულება ადგილობრივ შრომის ბაზარზე, თუმცა მცირეა იმ ინდივიდის ლინგვისტური კაპიტალი, რომელიც მხოლოდ ქართულ ენას ფლობს. ქართულ ენას გააჩნია დიდი სიმბოლური ძალაუფლება და კულტურულ იდენტობასთან გადაჯაჭვული არამატერიალური ღირებულება, რითაც მას შეუძლია შექმნას სანიშნე ბაზარი. შედარებითი ანალიზისას გამოიკვეთა, რომ განვითარებადმა და გავითარებულმა ქვეყნებმა, რომლებიც საფრთხეს გრძნობენ ინგლისური ენისგან უნდა შეიმუშავონ ძლიერი ლინგვისტური პოლიტიკა საფრანგეთის მსგავსად და იყვნენ პრინციპულები, მიუხედავად გლობალიზაციის მიერ დაჩარებული პროცესებისა. თუმცა, ლინგვისტური პოლიტიკის აღსრულება სახელმწიფოს მხრიდან დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს, ამიტომაც, რომ განვითარებად ქვეყნებში მწვავედ დგას ინგლისური ენის მიერ სახელმწიფო ენის „გადაფარვის“ საკითხი.

Abstract

Introduction - The purpose of the work is to identify the economic factor of the language on individual and state level in the context of modern economic and cultural globalization processes. The study analyzes the symbolic power of English, French and Georgian; and also how can one language be marketable and others not so much. English and French language has the greatest power in the world today and this power comes from economic grounds; however, the status of these two languages is not equal and the reasons behind their dominance vary. We are interested in the Georgian language role in economy as a state language of the post-Soviet country. The status of each language discussed here is analyzed in the context of economic, cultural and if necessary, in the context of political globalization. In comparative analysis, our variable is always the dominance of the English language, examining its influence on specific language or languages (French and Georgian). To study the role of the Georgian language as an economic factor on state and individual level with the comparative analysis we also conducted a survey with 20 individuals: what is the role that Georgian language holds for them when it comes to creating material welfare from it - we summarize respondents' answers and reveal common trends.

Methodology - Three languages were selected for comparative analysis - English, French and Georgian. Also additional dimension was selected to the study - the context of the globalization and the variable of comparative analysis - the English language. The work consists of three chapters. The first and second part is descriptive and theoretical: we discuss globalization, the status of English and French languages, their market and non market values. In the last part we analyse the economic role of Georgian language on international and national level with comparative analysis and summarize a survey of 20 participants to reveal common trends and issues from the answers.

Conclusions - The hypothesis of the research: "The Georgian language does not have a market (labor market) value without bilingualism (in this case involving English language

communication)" is only partially true. The Georgian language has a market value on the local labor market, although the linguistic capital of Georgian speaking only individual is pretty low. The Georgian language has a large symbolic power and intangible value connected to cultural identity, which can successfully create a niche market. Comparative analysis has shown that developed and developing countries that are engendering from the dominance of the English language must develop a strong linguistic policy like France and be consistent with it, despite the processes that have been accelerated by globalization. However, the implementation of linguistic policies requires large financial expenditures from the state, which is why in the developing world the question of "overlapping" the state language by English language is nowadays acute.